საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/286
23/01/2023

286-21-2-202301231550

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7620 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადახლოში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. დებედას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში ნაპირსამაგრი ნაგებობა გათვლილია 5%–იანი საანგარიშო ხარჯის მიხედვით. გაცნობებთ, რომ მიღებული ნორმების მიხედვით, ნაპირსამაგრი ნაგებობა არ გამოითვლება 3% უზრუნველყოფაზე მეტი მნიშვნელობით (უზრუნველყოფის სიდიდის გაზრდა ნიშნავს საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობის შემცირებას). შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას, ხოლო კალაპოტის წარეცხვის სიღრმის გამოთვლა უნდა მოხდეს მრუდხაზოვანი უბნისთვის;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი უბნის დეტალური ჰიდროლოგიური ანგარიში დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეების მითითებით. ამასთან, ჰიდრავლიკური ანგარიშის ყველა სიდიდე წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთებული რიცხვითი მნიშვნელობით

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო